განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

18, 19, 20 ოქტომბერი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

15.12.2021

თბილისი

2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **203851028** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | **მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)** |
| უმაღლესი განათლების საფეხური | **საბაკალავრო** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | **მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი** |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | **0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა** |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | **ქართული** |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | **240** |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | **აკრედიტებული 25.11.2011,** <br><br> **გადაწყვეტილება # 338** |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხათუნა კაჭარავა (თავმჯდომარე) - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო კილასონია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი<br><br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ გაგუა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თათია უბერი კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) წინა აკრედიტაცია გაიარა 25.11.2011 (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #338). აღნიშნული პროგრამის მიზანია მოამზადოს კულტურის ჟურნალისტიკის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც დარგობრივი/პროფესიული, ისე ზოგადი კომპეტენციები. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებას; პრაქტიკას სპეციალობაში; საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადებასა და დაცვას). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი აფილირებული პროფესორი. მათ შორის 2 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი. აქტიური სტუდენტების რაოდენობა - 62, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე სტაბილურია- 86. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ბაზას წარმოადგენს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში ფუნქციონირებს

თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, სატელევიზიო და რადიო სტუდიები, ხმის ჩამწერი და სამონტაჟო კაბინეტები, ვიდეოთეკა, დარბაზები.
პროგრამის მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მათ შორის: სამაუწყებლო კომპანიები, ვებმაუწყებლობები, ინტერნეტგამოცემები, ბეჭდური მედია, სოციალური მედია, საინფორმაციო სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურები, პრესცენტრები, სარეკლამო სააგენტოები, საგანმანათლებლო სივრცე, სარედაქციო საქმიანობა, კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებები, ან/და გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (18-19-20.10.2021), შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (ონლაინ-ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება). ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა წინასწარი მოსამზადებელი ონლაინშეხვედრა, სადაც განისაზღვრა მნიშვნელოვანი, აუცილებელი ასპექტები და შეკითხვები, რომლებიც გამოვიყენეთ ინტერვიუს დროს და დაგვეხმარა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო შემფასებლების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. სესიები ჩატარდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში, ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუბაზავად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხების მიღების შესაძლებლობა მოგვცა.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -სრულად შესაბამისობაშია;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- სრულად შესაბამისობაშია;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა სრულად შესაბამისობაშია;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები სრულად შესაბამისობაშია.

რეკომენდაციები

**2.2** • დისციპლინის - მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირება - მეშვიდე სემესტრში სწავლება დაგვიანებულია, რადგან მეორე სემესტრიდან პრაქტიკული საგნების ფარგლებში მედია პროდუქტის შექმნისას აუცილებელი იქნება მედიაეთიკისა და მედიასამართლის რეგულაციების ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული დისციპლინების მეორე ან მესამე სასწავლო სემესტრში გადმოტანა.

**2.2** ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებულია თეორიული საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება, სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს საბაკალვრო საფეხურის შესაბამისი თემატიკით -მედიის კვლევის მეთოდების- შესწავლას, რაც სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას გამოადგება.

**2.3** პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია კულტურის და ხელოვნების სფეროს ჟურნალისტს ჰქონდეს ცოდნა კულტურის პოლიტიკის მიმართულებით, იცოდეს კულტურის სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მოწყობის პრინციპი. ადგილბრივი გამოწვევები და საერთაშორისო ვალდებულებები. ასევე რეკომენდირებულია, ჟურნალისტი განასხვავებდეს კულტურის მართვის და მოწყობის დემოკრატიულ და ტოტალიტარულ მოდელებს.

**2.6** რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენებოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

**4.3** რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის დროული ხელმისაწვდომობა და ელექტრონული ბაზის მოწესრიგება.

**5.1** რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას სააკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა და უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2 სასურველია დამსაქმებელებს უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ პროგრამის განმახორცილებლებთან პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით რეკომენდაციების თვალსაზრისით.

2.3 სასურველია,დარგში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად, ლექტორებმა მოამზადონ რიდერები, რომლებიც დაეფუძნება უახლეს და

მრავალფეროვან (მათ შორის უცხოენოვან) ლიტერატურას; სწავლების პროცესში ასევე, შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც.

2.3 სასურველია, ერთნაირი ყურადღება და შესაბამისად საათობრივი განაწილება ეთმობოდეს ხელოვნების სხვადასხვა დარგების სწავლებას და არ იყოს დისბალანსი თეატრის ისტორიისა და სპეციფიკის სწავლებასა და სხვა სახელოვნებო დარგების სწავლებას შორის. შესაბამისად, უნდა დაბალანსდეს დარგობრივი სილაბუსების და საათების გადანაწილება.

2.3 სასურველია, დარგობრივი სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის განვითარება დაექვემდებაროს ერთნაირ მოდელს. ხელოვნების სხვადასხვა დარგის გაცნობა სტუდენტებისთვის მოხდეს ან ეპოქათა მონაცვლეობის ლოგიკით, ან რეგიონული. არის სილაბუსები, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია მსოფლიო და ქართული. თუმცა არის საგნები, სადაც ისწავლება თანამედროვე და ძველი. სასურველია, შეირჩეს ისეთი მიდგომა, რომელიც სტუდენტს გაუფართოვებს ერთიანი სურათის ხედვას და არ დატოვებს ადგილობრივ მოვლენებს საერთაშორისო კონტექსტის გარეშე.

**3.1**სასურველია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
**3.1**სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
**3.1**სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
**4.1**სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე

რეკომენდაცია 1

**2.2** უსდ ნაწილობრივ ეთანხმება რეკომენდაციას;

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა პოზიციას ამყარებს ის გარემოებაც, რომ პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ „ჟურნალისტური ეთიკის და მედიასამართლის საფუძველზე, ობიექტური, მიუკერძოებელი, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი კადრების მომზადებას“ ისახავს მიზნად, (იხ. „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ პროგრამა), შესაბამისად, „მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირება“ წარმოადგენს საბაზისო დისციპლინას, რომელზე დაყრდნობითაც, სამართლებრივი რეგულაციებისა და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული დისციპლინების სწავლება და ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა.

რეკომენდაცია 2

**2.2** ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება უდს-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას;

„მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ პროგრამის საკვალიფიკაციო ნაშრომი შედგება ორი - პრაქტიკული და თეორიული ნაწილისგან, მიუხედავად იმისა, რომ თეორიული ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა პრაქტიკული ნაწილის მომზადებისთვის გაწეულ კვლევით სამუშაოებს, კვლევითი კომპონენტის არსებობა განაპირობებს კვლევითი ნაშრომის დიზაინის, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საბაზისო საკითხების ცოდნას, კონკრეტული სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარებისა და მათი შედეგების პრაქტიკული გამოყენების უნარების გამომუშავებას, რაც ნაშრომს მეტად კვალიფიციურს გახდის და მოამზადებს ბაკალავრიატის სტუდენტებს სწავლების შემდეგი საფეხურისათვის.

რეკომენდაცია 3

**2.3** უსდ სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას.

რეკომენდაცია 4

**2.6** დაწესებულების არგუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მიდგომა მისასალმებელია და მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა რეკომენდებულია, სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის მიზნით, დაწესებულების მიერ ცალკე შემუშავებულ დოკუმენტში „ თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები“ - არსებული კონკრეტული და გაზომვადი შეფასების ფორმები - შესაბამისი კრიტერიუმების და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში ინტეგრირდეს, კონკრეტული სასწავლო კურსის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია 5

**4.3** მისასალმებელია უდს-ს მიერ სასწავლო-ელექტრონული ბაზის ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ძირითად ლიტერატურასთან იოლად მისაწვდომობას, რამდენადაც ისინი აიტვირთება სასწავლო ელექტრონულ ბაზაში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ბაზის რეორგანიზაცია და, შესაბამისად, ექსპერტთა მიერ დასახელებული ლიტერატურის გარკვეული რაოდენობა ადგილზე ვერ მოიძებნა.

რეკომენდაცია 6

**5.1** უსდ ეთანხმება ექსპერთთა რეკომენდაციას და აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ ლიტერატურის სრულად შეძენა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტამდე ვერ მოასწრო და ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის სილაბუსებში დასახელებული სავალდებულო ლიტერატურის შეძენის პროცესი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბაკალავრო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს სახელწოდებით „მასობრივი კომუნიკაცია (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)“, კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი. ბოლო წლების განმავლობაში პროგრამა გადამუშავდა და შესაბამისობაში მოვიდა არსებულ მოთხოვნებთან, დაზუსტდა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით: „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“, კვალიფიკაცია - მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი (სწავლის სფეროების ახალი კლასიფიკატორის შესაბამისად). პროგრამა მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდა კადრებს სამაუწყებლო მედიისთვის და მისი კურსდამთავრებულების უმრავლესობა დღემდე დასაქმებულია სამაუწყებლო მედიაში საკუთარი პროფესიით, რაც ამ პროგრამის აშკარა წარმატებაზე მეტყველებს. თუმცა თანამედროვე მედიის ახალი მოთხოვნები ახალი კადრების მომზადებისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თანმხვედრ სასწავლო პროგრამებს ითხოვს; თანამედროვე მსოფლიო დღეს უკვე ინფორმაციას უმთავრესად იღებს ინტერნეტის საშუალებით საკუთარ პერსონალურ კომპიუტერებში, მობილურ ტელეფონებში და სხვა სახის გაჯეტებში. შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელების საშუალებებმა მომხმარებელთან კომუნიკაციის ერთ-ერთ წამყვან ფორმად სწორედ ეს საშუალებები მიიჩნია და სულ უფრო პოპულარული ხდება ამ საშუალებებისთვის მორგებული ჟურნალისტური პროდუქტის წარმოება, რამაც დღის წესრიგში დააყენა მულტიმედიური უნივერსალური ჟურნალისტის მომზადების აუცილებლობა. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რაც მოიტანა

ციფრულმა საუკუნემ და ტექნიკურმა პროგრესმა, არის მრავალპლატფორმიანი ჟურნალისტური კორპორაციების შექმნა და ტრადიციული მედიასაშუალებების გადასვლა მულტიმედიურ პლატფორმაზე. ყოველივეს გათვალისწინებით, აგრეთვე ახალი რეგულაციებისა და სააკრედიტაციო მოთხვნების შესაბამისად, ცვლილებები პროგრამაში განხორციელდა.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1** პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) მიზანი ნათელია, მიღწევადია, ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული - მოამზადოს კულტურის ჟურნალისტიკის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც დარგობრივი, კულტურის მიმართულებით, ისე ზოგადი კომპეტენციები.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ქვეყნის, საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის დარგის ფართო სპექტრის სპეციალისტს, რომელმაც იცის მასობრივი კომუნიკაციის, მედიის სფეროს, საინფორმაციო, ანალიტიკური და შემოქმედებითი ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; შეუძლია მედიაპროდუქტის შექმნა ციფრული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. მულტიმედიურ პლატფორმებზე კულტურისა და ხელოვნების საკითხების კვალიფიციური გაშუქება ეთიკისა და მედიასამართლებრივ ობიექტურ, მიუკერძოებელ, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, ასევე ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშებით ციფრული არქივის შევსება, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის აუცილებელი მეთოდების შემუშავება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.<br><br>პროგრამის კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება მედიაში კულტურისა და ხელოვნების საკითხების პროფესიონალურად გაშუქებისათვის ბეჭდურ, ელექტრონულსა და ახალ მედიაში; კულტურულ და სახელოვნებო თემატიკისადმი მიძღვნილი გადაცემათა ორგანიზებაში. კულტურისა და ხელოვნების საკითხების პროფესიონალურად გაშუქება მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების კულტურული გარემოს შექმნისათვის, საზოგადოებრივი გემოვნების ფორმირებისათვის.<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და |

კულტურის ჟურნალისტიკა) მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დანიშნულებასა და მისიას - ხელოვნების დარგების განვითარება და კვლევა, ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; ბაზრის კვლევა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაკვეთით მომზადებულია სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის - საქართველოს მიერ. კვლევა ორიენტირებულია ბაზრის ზოგად ტენდენციებსა და მედიის/კომუნიკაციის სეგმენტირებული მიმართულების - კულტურის ჟურნალისტიკაზეა ორიენტირებული. ბაზრის კვლევა კონკრეტულ პერიოდს, 2020-2021 წლებს მოიცავს, ორ ეტაპად არის განხორციელებული და ასახავს დამსაქმებელთა მოთხოვნებს, მოლოდინებსა და დამოკიდებულებებს როგორც ზოგადად, მედიასპეციალისტების, ასევე კონკრეტულად კულტურის გაშუქების მიმართულებით მომუშავე ჟურნალისტების მიმართ. ანგარიში ეყრდნობა თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს, შეგროვებულ მონაცემთა ბაზას, გამოკითხვასა და ანკეტირებაში როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლების პასუხებს. კვლევაში მოცემული დასკვნების თანახმად იკვეთება, რომ შრომის ბაზარზე არის მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკის სპეციალისტების მოთხოვნა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია ბაზრის მოთხოვნები, რაც განაპირობებს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. პოტენციურ დამსაქმებლებთან, მედიისა და, კონკრეტულად, კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით არსებული გადაცემებისა და არხების წარმომადგენლებთან ინტერვიუმ დაადასტურა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოებისათვის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებები. უნივერსიტეტში დაფუძნებულია ყოველთვიური საერთაშორისო კონფერენცია და საერთაშორისო სამეცნიერო კრებული. უდს ჩართულია ერაზმუს+ საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პედაგოგების და სტუდენტების ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები.
პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამა (მიზანი) საჯაროა და განთავსებულია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.
- უნივერსიტეტის მისია (დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 თებერვლის N4 დადგენილებით)
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge
- ინტერვიუ დამსაქმებელთან

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
| --- |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას.<br>პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პროგრამის სწავლის შედეგები) შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლის, სახელოვნებო და ჟურნალისტიკის სფეროს აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან, ასევე, შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია: საბაზისო ცოდნა; განმავითარებელი ცოდნა; კომპლექსური ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმშია გაწერილი. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. განსაკუთრებული შთაბეჭდილება |

მოახდინა შეხვედრებმა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ნათელია, რომ ისინი სრულად იაზრებენ პროგრამის კომპლექსური მიზნების მიღწევისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას და უკვე ნერგავენ იმ მიდგომებს, რაც განაპირობებს მიზნების შესაბამისი შედეგების მიღებას. პროგრამის შედეგების მნიშვნელოვანი კომპონენტები (მასობრივი კომუნიკაციის და მულტიმედიური მედიის სტანდარტების, სპეციფიკურობის და შესაბამისი თეორიული თუ ტექნიკური ცოდნა, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოვლენის, თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის მიღწევა და ა.შ.) რომ მიღწევადია, ამაზე მოწმობს ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მედიაში მუშაობენ და გვიზიარებენ მოსაზრებებს იმ საბაზისო და გადამწყვეტი გამოცდილების შესახებ, რომელმაც ბევრი რამ განაპირობა მათი პროფესიული განვითარების გზაზე. ინტერვიუებმა დამსაქმებელთან დაადასტურა, რომ პროგრამის შედეგები ადეკვატურია ბაზრის მოთხოვნებისა. პროგრამის შედეგების და მიზნების თანხვედრა წარმოდგენილია მიზნებისა და შედეგების რუკით. ის ნათელი და მკაფიოა. ამას გარდა, ხარისხის სამსახურის მიერ მუდმივად ხდება შედეგების ანალიზი და კრიტიკული შეფასება. ამისთვის პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. საგულისხმოა, რომ პროგრამის შეფასების დროს, პროგრამაში ჩართული პედაგოგები და პროგრამის ხელმძღვანელი თავად მუდმივად კრიტიკულად აფასებს პროგრამას და განიხილავს განვითარების და დახვეწის შესაძლებლობებს. სწორედ აღნიშნული დამოკიდებულება გვესახება პროგრამის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორად. პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები კარგად იცნობენ პროგრამასა და მის მიზნებს. სახეზეა მათი პროგრამისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულება, რაც კარგად გამოვლინდა შეხვედრებისა და ინტერვიუების დროს. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით, თუმცა სასურველია დამსაქმებელებს უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ პროგრამის განმახორციელებლებთან პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით რეკომენდაციების თვალსაზრისით, რომელთა ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები, შესაბამისი რუკებით, სტუდენტთა შეფასების კითხვარების შედეგები, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარების მონაცემები;
  პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

- დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი წესი, აკადემიური საბჭოს N16 დადგენილება. 28.09.2017;
- „თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები“, აკადემიური საბჭოს N1 დადგენილება. 11.12. 2017;

| |
|---|
| - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს, დადგენილება N18/3);<br>- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზა (ბრძანება #15/2 – 17.02.2011). |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია დამსაქმებელებს უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ პროგრამის განმახორცილებლებთან პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით რეკომენდაციების თვალსაზრისით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✔ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✔ | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, სპეციალობის თავისებურებს და ყოველწლიურად სტუდენტებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის შესაბამისად იღებს.<br><br>დაშვების წინაპირობებში გათვალისწინებულია პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. აბიტურიენტმა მეოთხე სავალდებულო საგნად ისტორია უნდა ჩააბაროს.<br><br>შიდა/გარე მობილობისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;<br><br>ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აკადემიური პერსონალი თვლის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;<br><br>მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. |

| |
|---|
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.<br><br>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადების, მობილობის ვადებისა და წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხასთან დაკავშირებით თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა<br>• უნივერისტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, |

| |
|---|
| შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) შედგენილია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს: დასაქმების ბაზრის კვლევას; დაინტერესებული მხარეების გასაზღვრასა და სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებას; პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას; SWOT ანალიზს; პროგრამის განვითარების გეგმას; პროგრამის განხორციელების პროცესის შესაბამისობას პერიოდული შედეგების პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიებთან.<br><br>პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართული მედიაბაზარი სწრაფად იზრდება და, შესაბამისად, ჩნდება მოთხოვნა როგორც ზოგადად ჟურნალისტებისა და კომუნიკაციების სპეციალისტების, ასევე დარგობრივი ცოდნის მქონე კადრების მიმართ.<br><br>ბაზრის კვლევის თანახმად დამსაქმებლებმა განსაზღვრეს მოთხოვნებისა და საჭიროებების პრიორიტეტიზაცია, რამაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალება მისცა ისეთი სასწავლო პროგრამების ფორმირებაზე ეზრუნა, რომელიც კვალიფიციური კადრების მომზადებას უზრუნველყოფდა. კვლევის მიხედვით, ჟურნალისტის პოზიციაზე თანამშრომლის მოძიების პროცესში მნიშვნელოვანია ახალი ამბების მომზადების სტანდარტის ცოდნა, კრეატიულობა, ინფორმაციის გადამოწმების უნარი, კრიტიკული აზროვნება, მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლების ცოდნა, მედიაპროდუქტში ბალანსის დაცვის უნარი, კვლევის განვითარებული უნარი და კვლევის მეთოდების ცოდნა, გამართული წერა და მეტყველება, კამერასთან მუშაობა, პრაქტიკული უნარები-ჩვევები.<br><br>პროგრამის შინაარსს თანამედროვესა და აქტუალურს ხდის მულტიმედიური კონტექსტი, რომელიც გულისხმობს, რომ ჟურნალისტი თანაბრად კვალიფიციური უნდა იყოს მედიის განსხვავებული პლატფორმებისთვის მედიაპროდუქტის მომზადების დროს, მას უნდა შეეძლოს წერა ბეჭდური მედიისთვის, ტელერადიო გადაცემებისა და ინტერნეტმედიისთვის მულტიმედიური პროექტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამაში შესულია კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებას კულტურისა და ხელოვნების სფეროში.<br><br>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;<br><br>პროგრამის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) შინაარსი ითვალისწინებს მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკისა და კულტურის სფეროს შესწავლას, ამზადებს სოციალური მეცნიერებების, სახელოვნებო მეცნიერებების, მასობრივი კომუნიკაციის, ჟურნალისტიკის საფუძვლებისა და ხელოვნების დარგების სპეციფიკის საბაზისო თეორიული ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალ სპეციალისტს შემდეგი ასპექტებით: მულტიმედიური ჟურნალისტიკა, კულტურის ჟურნალისტიკა. |

პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლების საფეხურს. ეყრდნობა ლიბერალური სწავლების თანამედროვე პრინციპებს, პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 სთ.; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ).
მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური ჟურნალისტიკა) საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგება სავალდებულო – ძირითადი/საბაზო, დამხმარე და არჩევითი კურსებისგან და სრულდება საბაკალავრო-საკვალიფიკაციო ნაშრომით.

პროგრამის სასწავლო გეგმაში თეორიული კურსებისა და სპეციალობის პრაქტიკული სწავლების სინთეზია წარმოდგენილი. სტუდენტები თავდაპირველად შეისწავლიან სპეციალური დისციპლინების მოდულების იმ კურსებს, რომლებიც მათ აძლევს საბაზისო თეორიულ ცოდნას მასკომუნიკაციის და ჟურნალისტიკის თეორიის საკითხებში. სწავლების პირველი წელი ეთმობა შესავალ კურსებსა და აუცილებელი უნარების გამომუშავებას, რაც სტუდენტებს ლოგიკური აზროვნებისა და ტექსტის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს, მასობრივი კომუნიკაციისა და ხელოვნების დარგების საბაზისო საკითხებს გააცნობს. მეორე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ მოდულის პრაქტიკული კურსების შესწავლას. სწავლების მესამე სემესტრიდან, მას შემდეგ, რაც დასრულდება საუნივერსიტეტო საგნების ძირითადი კურსების შესწავლა, პროგრამა ითვალისწინებს სპეციალური დისციპლინების მოდულებისა და კურსების შეთავაზებას, მატულობს არჩევითი კურსების ხვედრითი წილიც, რომელიც პროგრამაში თანმიმდევრულადაა დალაგებული. მესამე სემესტრიდან სტუდენტს დამატებითი სპეციალობის მიღების საშუალებაც ეძლევა, ამისთვის აუცილებელია არჩევითი ბლოკიდან შესაბამისი მოცულობის კრედიტების დაგროვება. სპეცკურსები თეორიული და პრაქტიკული სწავლების თანაფარდობას გულისხმობს. სწავლების მეოთხე წელი სრულდება საკვალიფიკაციო თეორიული და პრაქტიკული ნაშრომით, რომელშიც სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვლინდება.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები ლოგიკურადაა დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია.
ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტები იცნობენ სასწავლო გეგმას, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ პროფესიული ბლოკის მოდულების მიმართ, რომელიც ითვალისწინებს მულტიმედიისა და კულტურის ჟურნალისტიკის პროფესიის დასაუფლებლად თეორიულსა და პრაქტიკულ სწავლებას. მოდულების შემადგენელი საგნები განლაგებულია დონეების შესაბამისად და გაშლილია სილაბუსებში, სადაც თეორიულ საკითხებთან ერთად ჩაშენებულია პრაქტიკული ნაწილიც; ამ მოდულების დაუფლების შედეგად სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას, ეუფლება პროფესიულ უნარ-

ჩვევებსა და ოსტატობას.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ძირითად და მოწვეულ პროფესორებთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მულტიმედიური პლატფორმებისთვის არტჟურნალისტების აღზრდის შედეგების მიღწევისთვის უნივერსიტეტს ჰყავს სამეცნიერო, პედაგოგიური გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური პროფესურა, რომლებიც სტუდენტებს ასწავლიან ისეთ სპეციფიკურსა და მნიშვნელოვან სახელოვნებო დისციპლინებს, რომელთა სწავლება სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შეუძლებელია; ასევე უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორები სტუდენტებს მულტიმედიისთვის მნიშვნელოვანი აუდიო-ვიზუალური ხელოვნების, მედიაარტის პრაქტიკული ნაწილის ათვისებაში ეხმარებიან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დისციპლინები - მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირება მეშვიდე სემესტრში ისწავლება, სასწავლო გეგმასა და პროგრამაში გარკვევით არის აღნიშნული, რომ მეორე სემესტრიდან სტუდენტებს პრაქტიკული საგნები აქვთ შეთავაზებული, რაც მედიაპროდუქტის შექმნას გულისხმობს; მედიაპროდუქტის შექმნისას აუცილებელი იქნება მედიაეთიკისა და მედიასამართლის რეგულაციების ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად, მეშვიდე სემესტრში მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირების შესწავლა დაგვიანებულია; უმჯობესი იქნება საგნის უფრო დაბალ საფეხურზე შესწავლა.

ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებულია თეორიული საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბაკალვრო საფეხურის შესაბამისი თემატიკით - მედიის კვლევის მეთოდების - შესწავლას, რაც სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას გამოადგება.

აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პირები, როგორც დაინტერესებული მხარე, მონაწილეობდნენ მის შემუშავებაში, იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლების მეთოდოლოგიას, რომელიც სრულად არის ორიენტირებული შედეგზე: კურსდამთავრებულმა მიიღოს დარგის თეორიული საბაზისო ცოდნა და გამოიმუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევები.
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც სრულად შეესაბამება პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული საგნებისა და დისციპლინების შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციას. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ და პროგრამის სილაბუსები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და შეფასების ინდიკატორები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილებაა N18/3);<br>• ნორმატიული დოკუმენტი: ”საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ინსტრუქცია“, ბრძანება #15/2 – 17.02.2011).<br>• პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები: ფაკულტეტის საბჭოს ოქმები, შეხვედრების ოქმები, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების გამოკითხვები და მათი ანალიზი (ინახება ფაკულტეტზე).<br>• ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.<br>• თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;http://www.tafu.edu.ge |
| რეკომენდაციები:<br><br>• დისციპლინის - მედიასამართალი, მედია ეთიკა და თვითრეგულირება - მეშვიდე სემესტრში სწავლება დაგვიანებულია, რადგან მეორე სემესტრიდან პრაქტიკული საგნების ფარგლებში მედია პროდუქტის შექმნისას აუცილებელი იქნება მედიაეთიკისა და მედიასამართლის რეგულაციების ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული დისციპლინების მეორე ან მესამე სასწავლო სემესტრში გადმოტანა.<br><br>• ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებულია თეორიული საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბაკალვრო საფეხურის შესაბამისი თემატიკით - მედიის კვლევის მეთოდების - შესწავლას, რაც სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას გამოადგება. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს |

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) სასწავლო მოდულების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო გეგმის პროფესიული ბლოკი შემდეგი მოდულების სახით არის წარმოდგენილი - მულტიმედიური ჟურნალისტიკა, ჟურნალისტიკის ისტორია და თეორია, ხელოვნების ისტორია, კინოს ისტორია, თეატრის ისტორია და ა.შ., რომელთა შემადგენელი საგნები პროგრამაში დონეების შესაბამისად არის განლაგებული. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება კურიკულუმის რუკით. სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების, საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადია და ფასდება. სილაბუსებში მოცემულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპონენტები, დეტალურად არის აღწერილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოს კრიტერიუმები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოდულების საგნების სილაბუსების შინაარსის შესწავლამ ცხადყო, რომ მოდულის დაუფლების შედეგად სტუდენტი, გარდა მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკის პროფესიის თეორიული და პრაქტიკული ბაზის შესწავლისა, პროფესიულ უნარ-ჩვევებსაც დაეუფლება. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების მოცულობა სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს. სპეციალური

დარგობრივი დისციპლინების ყოველი კურსი არის 5 კრედიტიანი, რაც გულისხმობს სალექციო კურსების, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვების, პრეზენტაციების, ჯგუფში სამუშაოების, სტუდიური/ლაბორატორიული სამუშაოების ლოგიკურ თანაფარდობას სტუდენტის მიერ ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებასთან. ყველა საგნის სილაბუსი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ითვალისწინებს დარგის განვითარების უახლეს ტენდენციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მულტიმედია ჟურნალისტიკა, ცვალებადი ბუნებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსების პერიოდულ განახლებას მოითხოვს; შესაბამისად, სასწავლო კურსების არსებული სილაბუსები იმ პრინციპითაა აგებული, რომ სწავლების პროცესში უახლესი ფორმების დანერგვის შესაძლებლობას იძლევა. საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს და საბაკალავრო საფეხურს. პროგრამაში კრედიტების რაოდენობა ისეა განაწილებული, რომ მეტი დრო ეთმობა სპეციალობის ძირითადი კურსების შესწავლას, 5 კრედიტი, ხოლო ზოგადი კურსები ძირითადად 3-3 კრედიტის ფარგლებშია წარმოდგენილი (გამონაკლისია ინგლისური ენა, რომელიც 5 კრედიტიან *კურსებადაცაა* წარმოდგენილი). საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სილაბუსებში მრავალფეროვანი სწავლა-სწავლების მეთოდებია წარმოდგენილი - ლექციებისა და ჯგუფში მუშაობის საათები, პრაქტიკული მეცადინეობა და ა.შ. რაც შეესაბამება კონკრეტული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, საკონტაქტო საათების რაოდენობა კურსის შინაარსის შესაბამისია. სასწავლო კურსში წარმოდგენილი სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა შესაბამისი შეფასების მეთოდით ფასდება, რაც მითითებულია როგორც სილაბუსებში, ისე - რეგულაციებში.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ კულტურისა და ხელოვნების ბლოკის შესწავლამ ცხადყო, რომ აღნიშნული პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული უნდა იყოს დისციპლინა, რომელიც მომავალ კულტურისა და ხელოვნების სფეროს ჟურნალისტს შესძენს ცოდნას კულტურის პოლიტიკის მიმართულებით, გააცნობს საკანონმდებლო ჩარჩოს და ინსტიტუციური მოწყობის პრინციპს. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დისციპლინის სილაბუსის შემუშავება და კურიკულუმში ჩართვა.
სასურველია, ერთნაირი ყურადღება და, შესაბამისად, საათობრივი განაწილება ეთმობოდეს ხელოვნების სხვადასხვა დარგების სწავლებას და არ იყოს დისბალანსი თეატრის ისტორიისა და სპეციფიკის სწავლებასა და სხვა სახელოვნებო დარგების სწავლებას შორის. შესაბამისად, უნდა დაბალანსდეს დარგობრივი სილაბუსებისა და საათების გადანაწილება. ასევე დარგობრივი სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის განვითარება დაექვემდებაროს ერთნაირ მოდელს. სტუდენტებისთვის ხელოვნების სხვადასხვა დარგის გაცნობა მოხდეს ან ეპოქათა, ან რეგიონული მონაცვლეობის ლოგიკით. არის სილაბუსები, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია მსოფლიო და ქართული კულტურა; თუმცა არის საგნები, სადაც შეისწავლიან თანამედროვეობას და ძველ პერიოდებს; სასურველია, შეირჩეს ისეთი მიდგომა, რომელიც სტუდენტს გაუფართოებს ერთიანი სურათის ხედვას და არ დატოვებს ადგილობრივ მოვლენებს საერთაშორისო კონტექსტის გარეშე.
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში ჩართულია ისეთი სასწავლო ლიტერატურაც, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა მიმართულების პროფესორების მიერ და ითვალისწინებს სფეროში არსებულ უახლოეს კვლევებს. ამდენად, პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია უახლესი კვლევების შედეგები და თანამედროვე მიღწევები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან ქართული მედიაგანათლებისთვის ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს მშობლიურ ენაზე გამოცემული რელევანტური სახელმძღვანელოები, ექსპერტთა რჩევაა, დარგში მიმდინარე

| |
|---|
| ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად, ლექტორებმა მოამზადონ *რიდერები*, რომლებიც დაეფუძნება უახლესსა და მრავალფეროვან (მათ შორის უცხოენოვან) ლიტერატურას; სწავლების პროცესში შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“;<br>• პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;<br>• კურიკულუმის რუკა;<br>• სწავლის შედეგების შეფასების სქემა;<br>• პროგრამის სილაბუსები;<br>• თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები (დამტკიცებული აკად. საბჭოზე 11.12.2017. ოქმი #1).<br>• სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები. |
| რეკომენდაციები:<br><br>• პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია, კულტურის და ხელოვნების სფეროს ჟურნალისტს ჰქონდეს ცოდნა კულტურის პოლიტიკის მიმართულებით, იცოდეს კულტურის სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მოწყობის პრინციპი, ადგილობრივი გამოწვევები და საერთაშორისო ვალდებულებები, ასევე, რეკომენდირებულია, ჟურნალისტი განასხვავებდეს კულტურის მართვის და მოწყობის დემოკრატიულ და ტოტალიტარულ მოდელებს. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• სასურველია, ერთნაირი ყურადღება და, შესაბამისად, საათობრივი განაწილება ეთმობოდეს ხელოვნების სხვადასხვა დარგების სწავლებას და არ იყოს დისბალანსი თეატრის ისტორიისა და სპეციფიკის სწავლებასა და სხვა სახელოვნებო დარგების სწავლებას შორის. შესაბამისად, უნდა დაბალანსდეს დარგობრივი სილაბუსებისა და საათების გადანაწილება.<br>• სასურველია, დარგობრივი სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის განვითარება დაექვემდებაროს ერთნაირ მოდელს. ხელოვნების სხვადასხვა დარგის გაცნობა სტუდენტებისთვის მოხდეს ან ეპოქათა მონაცვლეობის ლოგიკით, ან რეგიონული. არის სილაბუსები, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია მსოფლიო და ქართული. თუმცა არის საგნები, სადაც ესწავლებათ თანამედროვე და ძველი. სასურველია, შეირჩეს ისეთი მიდგომა, რომელიც სტუდენტს გაუფართოვებს ერთიანი სურათის ხედვას და არ დატოვებს ადგილობრივ მოვლენებს საერთაშორისო კონტექსტის გარეშე.<br>• დარგში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად, სასურველია, ლექტორებმა მოამზადონ რიდერები, რომლებიც დაეფუძნება უახლეს და მრავალფეროვან (მათ შორის უცხოენოვან) ლიტერატურას; სწავლების პროცესში |

| |
|---|
| ასევე, შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამის - მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და ხელოვნების ჟურნალისტი) - ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე არის სტუდენტებისთვის შეთავაზებული პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობები, რაც პრაქტიკული უნარების გამომუშავების უწყობს ხელს. პრაქტიკა მომავალ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან არ არის ერთადერთი შესაძლებლობა; უნივერსიტეტის ტელევიზია და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული აქტივობები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. საგულისხმოა, რომ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მომავალი ჟურნალისტები იძენენ მოქმედი ჟურნალისტი-ლექტორებისგან, ხოლო სახელოვნებო საკითხების გაშუქება-მიმოხილვის თავისებურებებს მათ აცნობენ ის ლექტორები, რომლებიც პარალელურად წარმოადგენენ ხელოვნების კრიტიკის პროცესს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, პროფესორები თუ მოწვეული პედაგოგები თავად |

აქტიურად ეწევიან მედიისა და ხელოვნების კვლევას ან უმღვებიან მედიაორგანიზაციებში სხვადასხვა პროგრამას. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები და მათთან დაგეგმილი პრაქტიკული პროგრამები მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ პრაქტიკულ პროგრამებს, რომელიც მთლიანად მოიცავს სტუდენტების სრულ შემადგენლობას; თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ თავად უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული რესურსი პრაქტიკისთვის არის ამ მიმართულების ღერძი, რომელიც მთლიანად ფარავს პროგრამის სტუდენტების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

პროგრამის სტუდენტები უსდ-ს ბაზაზე ეუფლებიან სატელევიზიო ჟურნალისტური საქმიანობისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ამზადებენ სიუჟეტებს, საინფორმაციო და სხვა ჟანრის გადაცემებს. ამრიგად პრაქტიკა სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პრაქტიკა, განსაკუთრებით ჟურნალისტიკაში სტუდენტის სწავლებისას დიდი დრო სწორედ პრაქტიკას უნდა დაეთმოს; ამდენად, კურიკულუმის სპეციალური დარგობრივი დისციპლინების დიდი წილი სწორედ პრაქტიკულ კურსებზე მოდის (რეპორტაჟი; ახალი ამბების წარმოება; კულტურა სამაუწყებლო მედიაში; კულტურა ახალ მედიაში; ახალი და კონვერგირებული მედია; ინტერვიუ; მულტიმედიური თხრობის გრამატიკა; ტელე-რადიო გადაცემის მომზადება; ფოტოჟურნალისტიკა; კომპიუტერული მონტაჟი; ოპერატორის ხელოვნება), შესაბამისად, სილაბუსებშიც დიდი წილი ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობებს. გარდა წმინდა პრაქტიკული ხასიათის კურსებისა, თეორიულ კურსებშიც მოიაზრებს მნიშვნელოვან პრაქტიკულ ნაწილს. ამ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. შერეული მოდელი, როდესაც პრაქტიკული ნაწილი ჩაშენებულია თავად თეორიულ სწავლებაში.
პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; იგი წარმოადგენს ჯგუფში წარმოებული სამუშაოების შემადგენელ ნაწილს და ხორციელდება როგორც სხვადასხვა სახის სიმულაციური და როლური თამაშებით, ასევე დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაოებით. სტუდენტები დარგობრივი კურსების სილაბუსების და სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სწავლების პირველივე სემესტრიდან მოიაზრებიან როგორც დამწყები ჟურნალისტები, სტრინგერები და იწყებენ შესაბამის საქმიანობას. ისინი, სპეციალური ტექნიკით აღჭურვილები (ვიდეოკამერები, სმარტფონები, ტელეფონები და სხვა სახის გაჯეტები), კვირის განმავლობაში აგროვებენ მნიშვნელოვან მოვლენებს და ფაქტებს. მათ დავალებად ეძლევათ დაესწრონ ყველა მნიშვნელოვან ღონისძებას, მოვლენას და დააფიქსირონ, შემდეგ დაამონტაჟონ, დაწერონ ტექსტი და მოამზადონ რეპორტაჟები და სიუჟეტები. გარდა ამისა, პირველი კურსიდანვე, სპეციალობის სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ დავალებებს ასრულებენ მულტიმედიურ პლატფორმაზე. ამდენად, მთელი სწავლის პერიოდში, ისინი მუშობენ როგორც ჟურნალისტები, პროდუსერები და ამზადებენ სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს. არიან გადაცემების წამყვანები, რეპორტიორები, მიმომხილველები, ქმნიან სხვადასხვა სახის ჟურნალისტურ ნაწარმოებებს: ინტერვიუებს, ნარკვევებს, საავტორო სვეტებს, პოსტებს ბლოგების, ვლოგებისა და პოდკასტებისათვის, შოუებს, დისკუსიებს და სხვ.
სწავლების ეს აპრობირებული, წლებით გამოცდილი მეთოდი იძლევა შესაბამის შედეგს და, ხშირ შემთხვევაში, უკვე მესამე-მეოთხე სემესტრის სტუდენტები, პარალელურად იწყებენ სტაჟორებად ან სტრინგერებად მუშაობას სხვადასხვა მედიასაშუალებაში, რაც დასტურდება ინტერვიუებით დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან.
ამას გარდა, სტუდენტები, ამა თუ იმ მედიასაშულებასთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, გადიან სრულფასოვან პრაქტიკას და ადგილზე ეცნობიან მედიაწარმოების პროცესს. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს

კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას;
პრაქტიკის დამაგვირგვინებელი შემადგენელია საკვალიფიკაციო-საბაკალავრო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი, როდესაც სტუდენტები ამზადებენ აუდიოვიზუალურ ან მულტიმედიურ ნაწარმოებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)";
- პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;

საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციები:

- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2015.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2016.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2017.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/student-konf-programa-2018.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/pdf/konferenciebi/konf_stud_2019_programa.pdf
- http://www.tafu.edu.ge/files/elbooks/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%202020%20vebistvis.pdf?fbclid=IwAR24kEUqQAeVJEmHl-4ejGR3eiGHP2bUXqh8NEnasiQ3fzAQrK9T59CmrVg

- სტუდენტთა ჩართულობა პრაქტიკაში და განხორციელებული პრაქტიკის ნუსხა მემორანდუმების საფუძველზე:
  1. შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, 23.10.2013 წ.
  2. შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, 22.04.2021 წ.
  3. შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და განათლების მულტიმედია ცენტრს შორის, 10.09.2018 წ.
  4. შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტსა და განათლების მულტიმედია ცენტრს შორის, 21.02.2019 წ.

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები.
- დებულება სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის შესახებ
- ინტერვიუებით დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) საბაკალავრო პროგრამა, სამამულო და უცხოური მასმედიის ტენდენციების გათვალისწინებით, ჟურნალისტური თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას ეფუძნება. აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია, მულტიმედიური პლატფორმებისთვის მოამზადოს კვალიფიცირებული, პროფესიონალი, უნივერსალური ჟურნალისტები, რომლებიც დარგობრივი ცოდნით იქნებიან აღჭურვილნი. პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კულტურის ჟურნალისტიკის სპეციფიკის შესწავლას - სტუდენტები შეისწავლიან კულტურისა და ხელოვნების ისტორიას, მხატვრული ნაწარმოების ანალიზსა და ჟურნალისტურ შეფასებას; მხატვრული ნაწარმოების ექსპერტიზას; მხატვრული, კულტუროლოგიური, საგანმანათლებლო გადაცემების მომზადების სპეციფიკასა და ტექნოლოგიებს. კულტურული პროგრამების *პროდიუსინგსა* და მხატვრული გადაცემების სცენარების შექმნას. თეორიულ სწავლებასთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ ნაწილსაც, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას, რომელსაც სტუდენტები გაივლიან წამყვან *ტელე*-რადიო, ინტერნეტ მაუწყებლობებში და რა დროსაც დაიხვეწება მომავალი სპეციალისტების პროფესიული დონე. ამასთანავე სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები. ამ მიზნების მიღწევა სტუდენტზე ორიენტირებული, სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდების გამოყენებით არის შესაძლებელი. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. პროგრამაში სწავლება-სწავლის არსებული |

| |
|---|
| მრავალგვარი კლასიფიკაციიდან ყველაზე გავრცელებული ვარიანტები გამოიყენება: A: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან *ესეს* შესრულება (თეორიული კურსების შემთხვევაში) და ა.შ.; დემონსტრირების მეთოდი. პრაქტიკული და სტუდიური მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს; სტუდენტი, შეძენილი ცოდნის საფუძველზე, დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: შემოქმედებითი, სასწავლო, ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკა, მულტიმედიური პროექტების მომზადება, ვიდეოგადაღებები, ციფრული მონტაჟი, ფოტოგადაღება, ხმის ჩაწერა, ტელემაუწყებლობების პავილიონებში სასწავლო-შემოქმედებითი პრაქტიკა და სხვ. მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი B: დისკუსია/დებატები – ჯგუფური (collaborative) მუშაობა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - ევრისტიკული მეთოდი – შემთხვევის ანალიზი (Case study) - გონებრივი იერიში (Brain storming) - როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური დემონსტრირების მეთოდი ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – ელექტრონული სწავლება (E-learning) . დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით; ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში; მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად - ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს. მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა არსებობს სწავლების მრავალი ინდივიდუალური მეთოდი, რომლის შერჩევა პედაგოგს შეუძლია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე და გაწერილია შესაბამის სილაბუსში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას ლექტორების მიერ გათვალისწინებულია როგორც დარგის სპეციფიკა, ისე სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები. მათ აღნიშნეს, რომ სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით; ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება; ხშირ შემთხვევაში რამდენიმე მეთოდის შერწყმაცაა შესაძლებელი. სილაბუსებითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში, კურსის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების გააქტიურებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. ინტერვიუებზე პედაგოგებთან და სტუდენტებთან დასტურდება სწავლა-სწავლების მეთოდების კომპლექსური გამოყენება. პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და |

კულტურის ჟურნალისტიკა)“;

- პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტი: „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, განხილული და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 28. 09. 2017, ოქმი# 16
- სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი, დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს (დადგენილება N17/2);
- უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი, დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს (დადგენილება N17/3);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| **2.6.** სტუდენტების შეფასება |
| --- |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით. პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.<br><br>შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.<br><br>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სტუდენტს გავლილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩართული იქნება სემესტრულ სასწავლო აქტივობებში და წარმატებულად ჩააბარებს, როგორც შუა სემესტრულ, ისე ფინალურ გამოცდას. ორივე სახის გამოცდის (შუასემესტრული, ფინალური/დასკვნითი) გამოცდის ჩაბარება აუცილებელია. ფინალურ გამოცდაზე არ დაიშვება ის სტუდენტი, რომელსაც შუასემესტრული აქტივობის მიხედვით (დასწრება-აქტივობა, შუალედური და ა.შ.), მთლიანობაში არ აქვს მინიმუმ 21 - ქულა. შუასემსტრული და ფინალური გამოცდის (თითოულის) დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა, რომელიც შეადგენს შეფასებისთვის განსაზღვრულ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მინიმუმ 50%-ს. (შუასემესტრული - არანაკლებ 10 ქულისა, ფინალური გამოცდა - არანაკლებ 20 ქულისა). სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვის სხვადასხვა ფორმები (ტესტი, დასწავლილი მასალის თხრობა, რეფერატი/საკურსო და ა. შ.). პედაგოგი ლექციაზე წინასწარ აცნობებს სტუდენტებს ყოველი გამოკითხვის ფორმას.<br><br>სტუდენტი ფასდება (შუასემესტრული და ფინალური გამოცდები, დავალებები, ჯგუფში მუშაობა და ა.შ.) შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით: მასალის გადმოცემა გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით (ქულათა საერთო რაოდენობის 20%). მასალის ცოდნის სიღრმე, პროფესიული ტერმინოლოგის ფლობა (ქულათა საერთო რაოდენობის 40%) სავალდებულო ლიტერატურის ათვისება და მასალის ანალიტიკური გააზრება (ქულათა საერთო რაოდენობის 40%) რეფერატი/საკურსო - კვლევითი ხასიათის მოკლე |

წერითი ნაშრომი, რომლიც შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან სტუდენტების ჯგუფის მიერ. მუშაობის ძირითადი დანიშნულებაა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მასალის მოძიება, მცირე კვლევის ჩატარება და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვისა და დასკვნების ჩამოყალიბება.

რეფერატი/საკურსო ფასდება ორ ეტაპად: შინაარსობრივი მხარე (ქულათა საერთო რაოდენობის 60%) და პრეზენტაცია (ქულათა საერთო რაოდენობის 40%). შინაარსობრივი მხარე ფასდება ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: მოწოდებული მასალის ვიზუალურ მხარე, პრეზენტატორის მეტყველების ლოგიკურობა, დამაჯერებლობა, დისკუსიის უნარი დასწრება აქტივობაში მაქსიმალური სემესტრული შეფასებაა 15 ქულა.

სტუდენტი ფასდება საკონტაქტო საათების დროს გამოჩენილი აქტივობის მიხედვით - დისკუსიაში მონაწილეობა, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობა და სხვა შესაძლო აქტივობები. ამ შემთხვევში შეფასების ძირითადი კრიტერიუმია აზრის მკაფიოდ და ლოგიკურად ფორმულირების და გადმოცემის უნარი.

სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება "FX"-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში, ერთჯერადად ეძლევა შესაბამის დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება; იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დამატებით გამოცდას ვერ ჩააბარებს, სტუდენტს უფორმდება 0 ქულა.

პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

➢ (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
➢ (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
➢ (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
➢ (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
➢ (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

➢ (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
➢ (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი

გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

მიუხედავად იმისა რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში - რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, სილაბუსებში კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენებოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი. საბაკალავრო ნაშრიბის შეფასების კრიტერიუმების თანახმად, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თეორიული ნაშრომს მოცულობით 25-30 გვ. A 4, წერითი ნაშრომის შესრულება უნდა მოხდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „წერით ნაშრომთა შესრულების სტანდარტები "-ს (22.11.2010) მიხედვით და პრაქტიკულ ნაშრომს - აუდიო-ვიზუალური ჟურნალისტური ნამუშევარი (ტელე, რადიო გადაცემა ქრ. 10-15 წთ, ან მულტიმედიური პროექტი).

საბაკალავრო პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები:

➢ თემის სიახლე და მნიშვნელობა - 10 ქულა

➢ დასმული პრობლემის სრულყოფილად და გასაგებად ჩვენების უნარი - 10 ქულა

➢ მასალის ფლობა და ანალიზის უნარი -10 ქულა

➢ წერის კულტურა, ციტირება, სქოლიოები - 5 ქულა

➢ ნაშრომის გაფორმება (ბიბლიოგრაფია, მინდორი, ინტერვალები, ფრაზების, ქვეთავების ხაზგასმა-გამოყოფა, პუნქტუაცია, აბრევიატურები, სარჩევი, თავფურცელი) - 5 ქულა

➢ პრაქტიკულ ნამუშევარში ვიზუალურ თხრობის კულტურა - 10 ქულა

➢ აუდიოვიზუალური მასალის ხარისხი - 5 ქულა

➢ პრაქტიკულ ნამუშევარში ბაკალავრის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული, ორიგინალური აუდიოვიზუალური მასალის წილი - 15 ქულა

➢ პრეზენტაცია - 30 ქულა

➢ ზეპირი პრეზენტაციის უნარი - 10ქულა

➢ კამათისა და დაცვის უნარი - 10 ქულა

➢ საპრეზენტაციო ტექნოლოგიის ფლობა -10 ქულა.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას მიღებული

| |
|---|
| შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ. სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება. თუმცა, გასათვალისწინებელია რომ სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისათვის უფრო დეტალურად და გასაგებად უნდა იყოს განსაზღვრული, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, როგორც ვერბალური, ისე წერითი გამოკითხვის კომპონენტის სახით.<br><br>დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შედეგის ოფიციალური გამოქვეყნების შესაბამისად დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დაწესებულებას, დაწესებულებაში არსებული შესაბამისი პროცედურების ინიცირების მოთხოვნით.<br><br>აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე სამართლის სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად: |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“;<br>• პროგრამის სპეციალური დისციპლინების მოდულები და სილაბუსები;<br>თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები (დამტკიცებულია აკად. საბჭოზე, 11.12.2017. ოქმი #1).<br>• წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები, დამტკიცებული აკადემიურ საბჭოზე 23.03.2017. ოქმი #11;<br>• სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი წესი - აკადემიური საბჭოს N16 დადგენილება. 28.09.2017;<br>• სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს, დადგენილება N17/4);<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/2)<br>• თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php<br>• ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის |

| |
|---|
| შედეგების შეფასება, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ უნდა იყოს მეტად დაზუსტებული, კონკრეტული ლექცია/სემინარის დღეს - გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენებოდეს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, | | ✓ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის -(შემდგომში წოდებული როგორც - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - "უსდ") საბაკალავრო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) Mass Communication (Multimedia and Cultural journalism) - შემდგომში წოდებული როგორც "საგანმანათლებლო პროგრამა" - სააკრედიტაციო პროცესის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის (თანდართული დოკუმენტაციით) შესწავლისა და ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პროცესის მარეგულირებელი, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესები და პირობები - საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომია. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.<br>სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში, პროგრამის განხორციელების ფარგლებში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ და საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ სასურველი დისციპლინა. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.<br>უსდ-ს აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან |

ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით. სასურველია, დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ უსდ-ს საბიბლიოთეკო სივრცეში პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის მოძიებისას, ზოგიერთი სახელმძღვანელო ვერ მოიძებნა, წინამდებარე საკითხის შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში - დაწესებულების საბიბლიოთეკო ბაზებზე, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია; უსდ-ს საბიბლიოთეკო ბაზებზე, სრულად არ არის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოები - რაც პროგრამის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ სტუდენტებისთვის უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა.

უსდ-ს მიერ, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და განსაკუთრებით კი, არჩევითი საგნების ჩამონათვალი მრავალფეროვანია. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულების სტუდენტების მობილობა შესაძლებელია საზღვარგარეთ, დაწესებულების პარტნიორ უნივერსიტეტებში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის სტუდენტზე ორიენტირებული.

უსდ ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას, თანადაფინანსებას კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში აღინიშნა, რომ დაწესებულება მხარს უჭერს მათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა ტიპის პროექტებში.

უსდ ჩართულია "ერაზმუს +"-ის პროგრამაში, ასევე, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს, რომლის მეშვეობით გაცვლითი აქტივობების ფარგლებში, დაწესებულების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მობილობით ისარგებლონ.

უსდ აქტიურად არის ჩართული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებში; აწვდის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა გამომცემლებთან თუ ტელე-რადიო მაუწყებლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ითანამშრომლონ და გაიარონ პრაქტიკა. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ

დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას აქვს საერთაშორისო გაცვლით აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენების მსურველი სტუდენტების რაოდენობა ცოტაა. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ბიუჯეტი;
- უსდ-ს მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან - საჯარო/კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების

ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი რესურსი, სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პერიოდულად მოეწყოს შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან დასაქმების ბაზრის საჭიროებების, განხილვა შესაბამისი საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;

- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

| |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>არ ფასდება |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მოთხოვნებთან | |
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამაში „მასობრივი კომუნიკაცია“ ჩართულ პერსონალს გააჩნია სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაცია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული კუთხით, რაც მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა თანაბრად მოიცავს როგორც სოციალურ, ასევე სახელოვნებო კომპონენტებს. ყურადსაღებია, რომ პერსონალის შერჩევისას ყურადღება კომპლექსურად ექცევა პედაგოგიურ, პრაქტიკულ (ჟურნალისტურ), შემოქმედებით და სამეცნიერო გამოცდილებას.<br><br>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი აფილირებული პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი. მოწვეული პერსონალის რაოდენობაა -17. პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობა 62-ია, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე სტაბილურია - 86. ეს თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის |

ჯეროვან წარმართვას და, საბოლოო ჯამში, მის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ძირითადად წარმოდგენილია დარგობრივი მიმართულების სპეციალისტებით.

პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს აქვს ერთგვარი ჟურნალისტური სახელოსნოს ფორმა, სადაც სტუდენტები მჭიდრო კონტაქტში არიან როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე მოწვეულ ლექტორებთან. პროფესურა სტუდენტებში ავტორიტეტით სარგებლობს და ისინი ასეთი სახის თანამშრომლობით კმაყოფილებას გამოთქვამენ. გარდა ამისა, ბევრი პროფესორი არის შესაბამისი სასწავლო საგნის სახელმძღვანელოს ავტორი, რომლებსაც სხვა უსდ-ებიც იყენებენ.

აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში, რაც ძირითადად ასახულია ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებითა და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებით. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი სამეცნიერო აქტივობების ზრდას, განსაკუთრებით საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნებას და აქტიურად გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 13 ნაშრომი და 18 მოხსენება კონფერენციებში, შესაბამისად ყურადღებას მოითხოვს აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გააქტიურება.

პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ მათ გააჩნიათ პროგრამის ჯეროვნად წარმართვის კომპეტენცია და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის მრავალწლოვანი გამოცდილება. გარდა ამისა, აქვთ, ასევე, პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილებაც, რაც, ერთის მხრივ, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირების წინაპირობაა, მეორე მხრივ კი სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის საწინდარი.

პროგრამას ემსახურება 6 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სტუდენტები სრულად უზრუნველყოფილნი არიან საჭირო კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუირებით დასტურდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
- პერსონალის პირადი საქმეები.
- ხელშეკრულებების ფორმები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შესაბამისად. ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს აკადემიური და მოწვეული |

| |
|---|
| პერსონალის შესაფასებლად. ასევე, აკადემიური პერსონალი რეგულარულად წარუდგენს ხარისხის სამსახურს ინდივიდუალურ ანგარიშებს გაწეული სამეცნიერო სამუშაოს შესახებ. საბოლოო ჯამში კი ამ ინფორმაციის ანალიზს ახდენს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და ასახავს შეფასების შედეგებს განვითარებისა და ხელშეწყობის პოლიტიკის დაგეგმვისას.<br>გარდა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროექტებისა და ღონისძიებებისა, უსდ უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას კონფერენციებში მონაწილეობის, პუბლიკაციების და სხვა სამეცნიერო-სასწავლო აქტივობების დაფინანსების გზით. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას სახელწოდებით „ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენცია“, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ყოველწლიური გამოცემა სახელწოდებით „ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული“. ამას გარდა, უსდ გამოსცემს ყოველკვარტალურ სამეცნიერო ჟურნალს სახელწოდებით „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუირებისას გამოჩნდა, რომ ისინი არიან ინფორმირებულნი და საკმაოდ აქტიურად ჩართულნი როგორც კონფერენციის საქმიანობაში, ასევე აქტიურად აქვეყნებენ სტატიებს გამოცემებში.<br>გარდა ამისა, უსდ ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას და გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო კრებულს, ატარებს ტრენინგებს და ჩართულია ერაზმუს + საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პედაგოგების და სტუდენტების ტრენინგები. უსდ ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების, დისტანციური შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარების სესიების ორგანიზებას პერსონალისათვის. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალი ინფორმირებულია ამ ღონისძიებების შესახებ და აქტიურად მონაწილეობენ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• პროგრამაში ჩართული პირების ნაშრომების ნუსხები;<br>• აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური ანგარიშები;<br>• მიმართულების აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის მონაცემები;<br>• სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე განხორციელებული სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებების ყოველწლიური ნუსხები;<br>• ინსტიტუციური განვითარების პროექტი CONNECT (CBHE ERASMUS+, Connecting universities and enterprises through Smart Entrepreneurship activities in Moldova, Georgia and Armenia);<br>• ყოველწლიური ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენციების პროგრამები, კრებულები -http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_samec<br>• ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან. |

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, პირველ და მეორე კორპუსებში. პროგრამის განკარგულებაში არსებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებს და პერსონალს ხელი მიუწვდება ყველა საჭირო რესურსზე და ტექნიკაზე, რაც პროგრამის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს.
ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პროგრამას აქვს საკუთარი ტელევიზია, რაც პრაქტიკული სამუშაოსთვის მნიშვნელოვანი აქტივია. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვით გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად სარგებლობენ

| |
|---|
| ამ აქტივით. ტელევიზიას აქვს რამდენიმე სტუდია, მათ ნაწილში დათვალიერებისას მიმდინარეობდა რემონტი, რომელიც დასრულების ფაზაში იყო. ტელევიზია და სტუდიები სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო აპარატურით.<br>ფარგლებში, ექსპერტთა მიერ უსდ-ს საბიბლიოთეკო სივრცეში პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის მოძიებისას, ზოგიერთი სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსია ვერ მოიძებნა, ამას გარდა, იგივე პრობლემა აღინიშნება ელექტრონულ ბაზაშიც. წინამდებარე საკითხის შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში - დაწესებულების საბიბლიოთეკო ბაზებზე, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია; უსდ-ს საბიბლიოთეკო ბაზებზე, სრულად არ არის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოები - რაც პროგრამის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს. პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის პასუხი იყო, რომ სახელმძღვანელოები გამოწერილია და გამოგზავნილია, ხოლო ელექტრონული ბაზა განახლების პროცესშია და უახლოეს მომავალში პრობლემა აღმოიფხვრება. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა.<br>უნივერიტეტს აქვს საკუთარი ვებგვერდი, ფეისბუკგვერდები და პერიოდული ბეჭდური ორგანო, რასაც სტუდენტები ასევე აქტიურად მოიხმარენ პრაქტიკულ სამუშაოში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• უსდ-ის შენობების დათვალიერება, შეხვედრა აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან.<br>• უნივერსიტეტის უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი ფოკუმენტები/ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• ინვენტარიზაციის შედარების აქტი;<br>• შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ანგარიშ-ფაქტურები;<br>• საბიბლიოთეკო რესურსი;<br>• სასწავლო ტელევიზია - TAFU TV;<br>• ვებ.გვერდი - tafu.edu.ge;<br>• საქართველოს შოთა რუსთველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდი; გამომცემლობა „კენტავრი“; |
| რეკომენდაციები:<br><br>• რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის - უსდ-მ უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკაში, პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის დროული ხელმისაწვდომობა და |

| |
|---|
| ელექტრონული ბაზის მოწესრიგება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს გააჩნია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების ნაყოფიერად მართვის საშუალებას იძლევა. უსდ-ის შემოსავლები მოიცავს სწავლის საფასურის, სახელმწიფო გრანტის, ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა შემოსავლების სახით მიღებულ ფინანსურ რესურსებს.<br><br>სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსდება საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ |

წლიური ასიგნებით დაახლ. 3 მლნ ლარის ოდენობით, მისი შემოსავალი კი შეადგენს 1,3 ლარს წელიწადში. ორივე ეს კომპონენტი, ჯამში, იძლევა პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. 2019-22 წლებში დაგეგმილია შემოსავლების ზრდა 9-12%-ით. უსდ-ში არის მენეჯმენტის სათანადო სისტემა. მართვას ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები.

მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა) საბაკალავრო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება უსდ-ის ბიუჯეტიდან. უსდ-ს გააჩნია საკმარისი ფინანასური რესურსები ამ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიუჯეტი.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✔ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახურის ძირითადი ამოცანებია: უნივერსიტეტის აკადემიური, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება საქმიანობის სრულყოფის მიზნით, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, აკადემიური, ადმინისტრაციული თუ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, უნივერსიტეტში ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვა და განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრასმების აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება. |

თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

უსდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა. სამსახური ასევე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყოველწლიური სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე. შეფასება ხორციელდება გამოკითხვების, სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდული მონიტორინგისა და კოლეგიალური შეფასებისაგან, მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.
პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის ფარგლებში, რეკომენდირებულია მეტად იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის აკრედიტაციაზე გაგზავნამდე პროგრამის თანმხლები დოკუმენტაციის შესაბამისობა (სააკრედიტაციო პაკეტში სხვა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობა) და ასევე, მიზანშეწონილია გადამოწმებული იქნას უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება

- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და შეფასების ინდიკატორები
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა (2020-2021)
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.tafu.edu.ge/wm.php
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას საакრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა და უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✔ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2** გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებასა და გარე ექსპერტის შეფასებას. მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. 2011 წელს გავლილი სააკრედიტაციო პროცესის შემდეგ, პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, პროგრამა გადამუშავდა და შესაბამისობაში მოვიდა მოთხოვნებთან, დაზუსტდა სახელწოდება და განისაზღვრა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. გარდა ამისა, უსდ-ს გარე შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს აუდიტი.

განვითარების ციკლის უწყვეტობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები
- გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის შემუშავების ამსახველი ოქმები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.tafu.edu.ge/wm.php
- ინტერვიუს შედეგები

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის, ფაკულტეტზე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის შეფასებისა და აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების |

პროფესიული მომზადების შეფასების მიმართულებით. შეფასებისა და განვითარების მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით, ხორციელდება სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ასევე, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ამასთან, ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიმართულებით, ინდივიდუალური ანგარიშის წარდგენის ფორმით. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი ანალოგი პროგრამების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება მასობრივი კომუნიკაციის პროგრამებთან მიმართებით. ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა ძირითადად განსხვავებულია საქართველოს სხვა უსდ-ებში მოქმედი მსგავსი პროგრამებისაგან, თუმცა გაცილებით მეტი საერთო გააჩნია საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შედეგად გამოვლენილ მსგავს პროგრამებთან (კარდიფის უნივერსიტეტი, ვორჩესტერის უნივერსიტეტი, კენტის უნივერსიტეტი). აღნიშნულ პროგრამებთან მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და სტრუქტურის სიახლოვე ადასტურებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ეფექტურობას.

პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაზიარებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის ასოცირებულ პროფესორთან. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა, შედეგები და განმახორციელებელი ადამიანური რესურსი შეფასდა დადებითად და დაიმსახურა პოზიტიური გამოხმაურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგების ანალიზი
- მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის გამოხმაურება - გარე კოლეგიალური შეფასება
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://www.tafu.edu.ge/wm.php

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვ ნებთან | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✔ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 57

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე]()

ხათუნა კაჭარავა 

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის]()

სოფიო კილასონია 

თამთა ცხოვრებაძე 

თათია უბერი 

მალხაზ გაგუა 